



საქართველოს არობის
ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის
სამინისტრო



დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის
ეროვნული ცენტრი

თანამშრომლობა აშშ დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრებთან (CDC)

აშშ-ს დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრები (CDC) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და ზოგადად, ჯანდაცვის სისტემის ერთ-ერთი მთავარი პარტნიორი ორგანიზაციაა, რომელთანაც თანამშრომლობა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90- იან წლებში დაიწყო. 1996 წ. CDC-ის სტრუქტურული და ფუნქციური მოდელი გამოყენებულ იქნა საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის შექმნის პროცესში.

CDC-ის პირველი მისია საქართველოში განხორციელდა 1994-1996 წლებში. აღნიშნული მისიის ფარგლებში გადამზადდა ქართველი ეპიდემიოლოგების პირველი კოჰორტა. თავდაპირველ პრიორიტეტებს წარმოადგენდნენ: დიფტერია და ვაქცინით მართადი დაავადებები. CDC-ის მხარდაჭერით განხორციელებულ კვლევებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო - დიფტერიის კვლევა. იმ პერიოდს ასევე უკავშირდება პირველი ეპიდემიოლოგიური ბიულეტენის გამოქვეყნებაც.



1996 წ. CDC / ატლანტასთან ერთად ჩატარდა პირველი ერთობლივი კონფერენცია “საზოგადოებრივი ჯანმრთელობა დღეს: ხვალინდელი დღის ხედვა”, რომელიც მიეძღვნა ზედამხედველობისა და საინფორმაციო სისტემებს.

90-ანი წლებიდან მოყოლებული (1999წ., 2005წ., 2011წ.) საქართველოში განხორციელდა სამი

ფართემასშტაბიანი კვლევა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კუთხით, რომლებსაც ტექნიკურ მხარდაჭერას უწევდა CDC რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციასთან (USAID, UNFPA, UNICEF, UNHCR, AIHA) ერთად. კვლევების მიზანი იყო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საერთაშორისო ორგანიზაციების, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის ინფორმირებულობა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სტატუსზე, კერძოდ, ორსულთა და შობადობის, სქესობრივი აქტივობის, კონტრაცეფციის, აბორტების, ქალთა ჯანმრთელობის სერვისების ინდიკატორებზე.



2001 წლიდან CDC-თან თანამშრომლობით და BTEP / ISTC პროექტების საშუალებით გამოკვლეულ იქნა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ისეთი გამოწვევები, როგორცაა: ბოტულიზმი, ჰელიკობაქტერია, ანტიმიკრობული რეზისტენტობა, ტუბერკულოზი, ამებიაზი და სხვ.